№ 36
12.03.2013წ.

# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო " 12 " მარტი 2013 წ.

ერთის მხრივ *ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მომსახურეობის ცენტრი, ქ. ბორჯომი წმინდა ნინოს ქ.№11, დირექტორის ვაჟა გელაშვილის სახით* (შემდგომში „შემსყიდველი")

და მეორეს მხრივ *ი/მ „მამუკა ჭადაშვილი" ქ. ხაშური ნათაძის ქ.№22* (შემდგომში „მიმწოდებელი") შორის და მიღწეულ იქნა ურთიერთშეთანხმება შემდეგზე:

1. ხელშკრულების შესყიდვის ობიექტის დასახელება

*ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მომსახურეობის ცენტრისათვის საკვების ( **CPV 39110000**) შესაძენად.*

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობის ღირებულება შეადგენს ***100 ცალი – 3500 (სამი ათას ხუთასი) ლარი.*** (შემდგომში „ხელშეკრულების ფასი").

3. საქონლის მიწოდების პირობები

3.1 მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობა შემსყიდველს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2013 წლის 12 მარტიდან 2013 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარება მოხდება წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადების საფუძველზე.

5. ანგარიშსწორების ფორმა და ადგილი

5.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

5.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მომსახურების გაწევის შემდეგ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურებისათვის საჭირო დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

6. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

6.1 ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული მომსახურება უნდა იყოს მაღალი ხარისხის და ექვემდებარებოდეს სახელმწიფო სტანდარტებს.

7. ანგარიშსწორების ვალუტა

7.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

"შემსყიდველი"_______________ "მიმწოდებელი"_______________

ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

**9. უფლებების გადაცემა**

9.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

**10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება**

10.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

10.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

**11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა**

11.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით და არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე აგებენ პასუხს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**12. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო**

12.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი მომსახურეობა ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.

12.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

**13. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

13.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს ახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის დირექტორი.

**14. ფორს-მაჟორი**

14.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

**15. სადაო საკითხების გადაწყვეტა**

15.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

15.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

**16. გამოყენებული სამართალი**

"შემსყიდველი"________________ "მიმწოდებელი"________________

ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

**17. ხელშეკრულების ენა**

17.1 ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნას ქართულ ენაზე.

**18. გადასახადები და დაბეგვრა**

18.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

**19. ხელშკრულების მოქმედების ვადა**

19.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის თარიღიდან **2013 წლის 12 მარტიდან 2013 წლის 30 ივნისის** ჩათვლით.

ყოველივე ზემოხსენებულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

ხელშეკრულება შედგენილია ორ პირად, ერთი შემსყიდველს და ერთი მიმწოდებელს.

"შემსყიდველი"

*ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მომსახურეობის ცენტრი, ქ. ბორჯომი წმინდა ნინოს ქ.№11 ს.ს თიბისი ბანკის ბორჯომის ფილიალი ა/ა №GE05TB0166834080100001, ბ/კოდი TBCBGE22 საიდენტიფიკაციო კოდი 226166154*

ბ.ა ______________________ /ვ. გელაშვილი/

"მიმწოდებელი"

ი.მ. „მამუკა ჭადაშვილი" ქ. ხაშური, ნათაძის ქ.№22 ს/კ 57001027299. ს/ს „პროკრედიტ ბანკი-საქართველო " ბ/კ **MIBGGE22.** ა/ა **GE02PC0283600100006370**

ბ.ა. ______________________ / მ.ჭადაშვილი/

"შემსყიდველი" ______________ "მიმწოდებელი" ______________ 